

JEHOVAH'S WITNESSES

OFFICE OF PUBLIC INFORMATION

პრეს-რელიზი
8 სექტემბერი, 2000
(English)

იეჰოვას მონმეებზე სასტიკი თავდასხმები დასავლეთ საქართველოშიც გავრცელდა

„სენაკშიც და ქუთაისშიც გასულ კვირა დღეს, 3 სექტემბერს, იეჰოვას მონმეებზე სასტიკი თავდასხმები იქნა მოწყობილი, - განაცხადა გურამ კვარაცხელიამ, იეჰოვას მონმეების წარმომადგენელმა, - სენაკში იეჰოვას მონმეთა კრებას თავს დაესხა შეიარაღებულ მამაკაცთა ჯგუფი, ხოლო ქუთაისის მთავარ ქუჩაზე იეჰოვას ერთ მონმეს სასტიკი შეურაცხყოფა მიაყენა პოლიციის ორმა თანამშრომელმა“.

„ჩემს სახლში მშვიდობიანად მიმდინარეობდა კრება, - ამბობს იური პაპავა, სენაკის მკვიდრი, - როცა უეცრად სახლში შემოიჭრა მამაკაცი და მომთხოვნი ტონით გვკითხა, თუ რას ვაკეთებთ და რას ვასწავლით. ის არც დაელოდა პასუხს და სხვა ოთხ პიროვნებასთან ერთად ავეჯის დამტვრევა დაიწყო“.

პაპავამ შემდეგ თქვა: „ჩვენ შეძრწუნებული ვიყავით, როცა დავინახეთ, როგორ მისცვივდნენ შემოჭრილები შეხვედრის თავმჯდომარეს, როგორ მიაწვეს მას შუბლზე სიგარეტი და როგორ ურტყეს მას სახეში თავებით. როცა ერთ-ერთმა თავდამსხმელმა იარაღი ამოიღო, ზოგმა ქალმა წივილ-კივილი მორთო, სხვებმა კი თავის დაღწევის მიზნით საკმაო სიმაღლეზე განლაგებულ ფანჯრიდან გადმოხტომა დაიწყეს. ქალებს შორის, რომლებიც გადარჩენის მიზნით ფანჯრიდან ხტებოდნენ, 70 წლის მანდილოსანიც იყო. გადახტომის შედეგად ერთი ქალი ისე დაშავდა, რომ ლოგინს არის მიჯაჭვული“.

„ჩვენ პოლიციას დავუკავშირდით, - ამბობს პაპავა, - მაგრამ როცა ისინი მოვიდნენ, ბევრიც არაფერი გაუკეთებიათ, პირიქით გინებით აიკლეს თავდასხმის მსხვერპლნი“.

ვლადიმერ გაბუნიაძე, ქუთაისში მცხოვრებმა საქართველოს მოქალაქემ, მოგვითხრო თავისი ამბავი, რომელიც იმავე ქალაქის საგზაო ინსპექციის თანამშრომლებთან გადახდა. „მივდიოდი ნიკვას ქუჩაზე. ეს იყო კვირა დღეს. უკვე მოსალამოვებული იყო, როცა საგზაო პოლიციის ორმა მუშაკმა ლიტერატურა მხთხოვა. მათ ჟურნალი მივეცი, რომელიც ერთ-ერთმა ჩემ თვალწინ დახია. მეორემ კი კუჭის თავში დამარტყა მუშტი, და როცა სუნთქვა შემეკრა და ჩავიკეწე, დანარჩენი ლიტერატურა წამართვა და დახია. შემდეგ მან ჩემი ორი ბიბლია აიღო და მანქანაში ჩადო. ისინი მემუქრობდნენ მდინარე რიონში გადაგდებით და სასტიკად ამიკრძალებს ქუჩებში სიარული“.

ეს თავდასხმები მოჰყვა იმ არაერთ თავდასხმას, რომლებიც მოეწყო იეჰოვას მონმეებზე გასულ თვეებში გლდანში, თბილისის ერთ-ერთ რაიონში. 16 და 17

აგვისტოს ბასილ მკალავიშვილის მიმდევარი მართლმადიდებელი ექსტრემისტები თავს დაესხნენ გლდანი-ნაძალადევის სასამართლოში მყოფ ხალხს. მათ სცემეს ჟურნალისტები, წარმომადგენლები ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში და იეჰოვას მოწმეების რელიგიის წევრები, მათ შორის უცხოელი დამკვირვებლები. ბ-ნ კვარაცხელიამ აღშფოთება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ „სისასტიკეს, რომლითაც რელიგიური შეუწყნარებლობა გამოიხატება, თავისუფლება აქვს მიცემული საქართველოში. სისასტიკის მსხვერპლთ დაცვით უზრუნველყოფაზე უარს ეუბნებიან და მათ არანაირ კანონიერ დახმარებას არ სთავაზობენ“.

კონტაქტები საქართველოში:
ტელეფონი +995 (32) 76-23-59; ფაქსი +995 (32) 76-95-98

www.jw-media.org